



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 8 „ 14 „ 06 2019წ

**დადგენილება № 38**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის სავალდებულო ფორმაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/წ ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,  
აკადემიური საბჭო ადგენს:

- შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის სავალდებულო ფორმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N27 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის სავალდებულო ფორმაში“ და აღნიშნული ფორმის:  
ა) XII პუნქტი „სწავლის შედეგები“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**XII. სწავლის შედეგი:**

	სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება	



უნარი	
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	

(პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. აღნიშნული რუკა შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით გამოვსახოთ).

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6
ა						
ბ						
გ						

ბ) XIV პუნქტი „სწავლის შედეგების რუკა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„XIV . სწავლის შედეგების რუკა**

(კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს (მაგ., სასწავლო კურსი „ბ“); ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგი 2). პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს).

სასწავლო კურსები	პროგრამის სწავლის შედეგები									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	✓				✓					✓

2											
3			✓					✓			
4											
5											
6		✓		✓				✓			✓
7							✓				✓
8			✓							✓	
9						✓					

(აღნიშნება საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/საწარმოო პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები)

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუკი ვამბობთ, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. შესაძლებელია ასევე, უბრალოდ აღნიშვნის ნაცვლად, ისიც მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.:

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3
ა	1		1
ბ			
გ		2	
დ			
ე			2

1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება

გ) XVIII პუნქტში „სტუდენტის შეფასება“ მოცემული „სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (არასავალდებულო, სარეკომენდაციო ფორმა)“



H (high) – მაღალი  
M (medium) – საშუალო  
L (low) – დაბალი

მაგალითად: (ცხრილში მიუთითეთ შესაბამისი მეთოდები

მეთოდები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
ლექცია;	H	H	H	M	H	M	H	L
სემინარი;	H	H	H		H	M	H	
ჯგუფში მუშაობა;		M		H	H			H
პრაქტიკული მუშაობა;		M		H	H			
ელექტრონული რესურსით სწავლება;				M	H			
ელექტრონული სწავლება;				M				
ინტერაქტიური მეთოდი,		L	L		M	M	M	
ინდუქცია და დედუქცია		M			M			
ანალიზი და სინთეზი		H			M		M	

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე